

უნდა აშენდეს თუ არა „ბახვი -1“ ჰესი?

ადგილობრივი და მხარეული კომპანიის წარმომადგენლები კვლავ ვერ თანხმდებიან

4 ივნისს, კომპანია „სი-სი-ი-ეიჩ-ის“ მენეჯმენტმა ოზურგეთში გამართა შეხვედრა. სტუმრებმა ოზურგეთის მერს, კონსტანტინე შარაშენიძეს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს „ბახვი 1 ჰესის“ შესახებ დეტალური ინფორმაცია მიანოდეს და მასპინძლების კითხვებსაც უპასუხეს.

პროექტის ხელმძღვანელმა, გიგლა სისარულიძემ, გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერმა, ნანა ბერძენიშვილმა და დირექტორმა, მიხეილ ნიბლაძემ მდინარე ბახვისწყალზე დაგეგმილი და ამჟამად კვლევის ეტაპზე არსებული მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგურის პროექტი წარმოადგინეს.

კომპანიის წარმომადგენლები აცხადებენ რომ კვლევის ჩალრმავებულ ეტაპზე გადავიდნენ, რომლის ფარგლებშიც პროექტი

აქტიურად ჩაერთვნენ ევროპელი ექსპერტები.

– „ჩვენი მიზანია პროექტი განვახორციელოთ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების IFC-ის და EIB-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სტანდარტების სრული დაცვით, ასევე, საქართველოს კანონმდებლობისა და რეგულაციების შესაბამისად. კომპანიას შექმნილი აქვს დამოუკიდებელი გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხის მართვის სისტემა და ყოველ ჯერზე უზრუნველყოფს აღნიშნული სისტემით განსაზღვრული წესების დაცვას, რაც გულისხმობს არა მარტო ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი კვლევების ჩატარებას და განხორციელებას ადგილზე, არამედ უფრო მეტიც, საერთაშორისო და ადგილობრივი მაღალი კვალიფიკაციის ექსპერტების მოწვევას და



მათ მიერ კონკრეტული კვლევების და შემარბილებელი ღონისძიებები უნდა გატარდეს, გარემოზე და ადამიანებზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით,“

>>> 83-2



ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გაშრობის
1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირიანი გამოშვება. №16 (10383) 7 ოგონი 2021 წ. შასი 60 თეთრი.

ირაკლი პეტრიაშვილი: „დღეს კიდევ ერთხელ საზგასმა ხდება იმისი, რომ საქართველოში არსებული ნორმები, სტანდარტები და კანონმდებლობა ინვესტორს ფახზე ჰკიდია“



– დღეს კიდევ ერთხელ საზგასმა ხდება იმისი, რომ საქართველოში არსებული ნორმები, სტანდარტები და კანონმდებლობა ინვესტორს ფახზე ჰკიდია – ეს 31 მაისს, ქ. ოზურგეთში, კომპანია „გურია ექსპრესის“ („გულსტანი“) ოფისის წინ გამართულ გაფიცულ მუშა-მოსამსახურეების აქციაზე საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი** განაცხადა.

„გურის ექსპრესის“ გაფიცულ მუშებს ბორჯომის მინერალური წყლების კომ-

ოზურგეთში საარჩევნო ბილბორდებისა და ბანერების ღია საფუძვლზე ქალაქის პერსპექტივით



ალიონი. ოზურგეთში რომ უცხოელი ჩამოვიდეს და ქალაქს თვალი გადაავლოს, ქუჩებში იმდენი საარჩევნო გარე რეკლამაა შემორჩენილი, იფიქრებს, რომ გურულების სათავეო ქალაქი საპარლამენტო არჩევნების სამზადისშია, არადა, რამდენიმე დღეში 8 თვე გახდება, რაც ეს არჩევნები ჩატარდა.

თავიანთი მასშტაბურობით განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალაქის გულის გულში, სახელად ჰსპ-ს და გამოსაყენებლად სხვათა შენობაზე განთავსებული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კომბინირებული სარეკლამო ბანერი, რომელსაც თითქმის მთლიანად უჭირავს ამ შენობის ორივე სართული და გმირთა მოედანზე, პარტია



„სტრატეგია აღმაშენებლის“ ბილბორდი ამავე პარტიის ოზურგეთის ორგანიზაციის ოფისის გარეთა ხედზე.

ქალაქში ენახეთ სხვა საარჩევნო სუბიექტების როგორ ბოლო საპარლამენტო, ისე თვითმმართველობის არჩევნებისდროინდელი საარჩევნო სააგიტაციო პლაკატებიც.

ამ საკითხზე დაახლოებით ორი თვის წინ რეპლიკაც გამოვაქვეყნეთ ჩვენს გაზეთში, მაგრამ, რადგან ამ რეპლიკას არანაირი გამომხატვრება არ მოჰყოლია, როგორც საარჩევნო სუბიექტების, ისე საოლქო კომისიისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, დავინტერესდით რა „ფენომენთან“ გვექონდა საქმე.

ქრონოლოგიურად მიყვებით და ჯერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ვცადეთ დაკავშირება, მაგრამ დავით ამოდ. 3 ივნისს **დავით მუჟაანაძემ** (ტელეფონის ნომერი 577 60 63 60) 10 საათსა და 47 წუთზე, 11 საათსა და 35 წუთზე, 13 საათსა და 08 წუთზე ჩვენს ზარებს არ უპასუხა; რაც შეეხება **ბესო ქათამაძეს** (ტელეფონის ნომერი 555 07 89 89) 10 საათსა და 49 წუთზე ზარი გავიდა, 11 საათსა და 36 წუთზე ტელეფონი უკვე გათიშული ჰქონდა, 13 საათსა და 09 წუთზე კი — აბონენტი მიუწვდომელი იყო. გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ენმ-ის ადგილობრივმა ლიდერებმა ჩვენს ზარებს შეგნებულად არ უპასუხეს, რამეთუ უბრად არიან „ალიონთან“.

მთლად უპასუხოდ რომ არ დავრჩენილიყავით, ამ პარტიის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს, პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონს **მანუჩარ კვიციანიას** დაუკავშირდით თბილისში. სახელდებულმა მოჭიდავემ ჩვენგან გაიგო, რომ სარეკლამო საარჩევნო ბანერი თავისი გამოცხადებით ჯერ კიდევ ჩამოუსხნელია. გვითხრა, რომ ამ რეკლამის ჩამოხსნის თაობაზე მას არანაირი არც წერილობითი და არც სიტყვიერი შეტყობინება არ მიუღია.

პირველივე ცდაზე დაუკავშირდით პარტია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავკაცს:

>>> 83-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ.) ღირებულება 120 ლარია;

- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ.) მთლიანი გვერდებისა -150-150 ლარი;

-1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად, (810 კვ.სმ.) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. სმ.) ღირებულება 300 ლარია;

- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის ღირებულება 50 ლარით იზრდება.ზ- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. სმ-ზე, სურათით 25 ლარი;

- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.) - 2 ლარი;

- გახსენება, ნეკროლოგი -სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ.)-2 ლარი.

საცალო ფასი: 60 თეთრი.
ხელმოწერა:
ერთი თვით -2,40 ლარი;
სამი თვით -7,20 ლარი;
6 თვით -15 ლარი;
ერთი წლით -30 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე არ შეიძლება.

სარეკლამო კომპანია
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 49 91 00
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 37 35 15
კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 57 60 60

რედაქციის მისამართი:
ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. №3
ტელ. 558 499100

გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში
18.11.2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

დაიწყეთ ყოველი ორშაბათი ალიონზე
„ალიონი“

უნდა აშენდეს თუ არა „ბასვი-1“ ჰესი? ადგილობრივი და მხარეების კომპანიის წარმომადგენლები კვლავ ვერ თანხმდებიან

მიუხედავად სტუმრების არაერთგზის მცდელობისა, მასპინძლები დაერწმუნებინათ რომ მცირე ჰესი არავითარ ზიანს მოუტანს ბასხარო ბუნებას, ადგილობრივების მხრიდან მაინც საპირისპირო აზრი დახვდათ. მასპინძლები ამბობდნენ რომ ბასვი 1 ჰესის განხილვა არ შეიძლება განცალკევებულად , უნდა იქნას გამოკვეთული რა ზიანი მიადგება ბუნებას „ბასვი 1“, „ბასვი 2“ და „ბასვი 3“ ჰესების ერთდროულად მუშაობისას.

ირმა გორდელაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ეკოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი: - კომპანია გეგმავს ბასხაროს რეკრეაციულ ზონაში „ბასვი 1 ჰესი“ ააგოს. არის სკოპინგის ეტაპი. დღეს უკვე მესამე შეხვედრა იყო. ჩვენ, ჩვენს ექსპერტებთან

ერთად მივანოდეთ ძალიან ბევრი შენიშვნა. მესამე ჯერზე უკვე წარმოადგინეს შეტანილი ცვლილებები. ამ პროექტში მთავარი იყო ჰიდროლოგიის და ბიომრავალფეროვნების შესწავლა, ერთ მდინარეზე სამი ჰესი გამოიწვევს თუ არა კლიმატურ ცვლილებებს ბასხაროში და ზოგადად ეკოლოგიურ პრობლემებს, მითუმეტეს, რომ ბასვისწყალი ამარაგებს ამ ხეობას. ასევე ერთ-ერთი მთავარი თემაა წყლის ხარჯი, რამდენს დატოვებენ რომ ეკო-სისტემამ იარსებოს. შეხვედრა რომ შევაფასო, რაღაც ცვლილებები არის უკეთესობისკენ, დამატებით კვლევებსაც გეპირდებიან. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები. ჩვენ ვდგავართ ფიზიკად იმისთვის, რომ პროექტები განხორციელდეს, მაგრამ აუცილებლად იყოს სარგე-

ბლიანი, ხარისხიანი და რაიმე ექსცესებს არ ჰქონდეს ადგილი.

თამაზ ტრაპაიძე,ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: -ეს იყო კომპანიის მიერ ინიცირებული შეხვედრა, შეიძლება ითქვას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ჩვენ ვიცნობდით ამ პროექტს, თუმცა, როგორც ჩანს, შეტანილია ცვლილებები მას შემდეგ, რაც ჩვენ გავეცანით. რამდენიმე ცვლილება მართლაც სასიკეთოა, თუმცა საბოლოო ვაშში კითხვის ნიშნები ჯერ კიდევ არის, რომელსაც სავარაუდოდ გასცემს კომპანია პასუხს.

„ჩვენ გვაქვს მზაობა და დიდი სურვილი კვლევების ეტაპზე ვითანამშრომლოთ ყველა დაინტერესებულ ჯგუფთან. კომპანია ღიად და გამჭვირვალედ ახორციელებს

ყველა სამუშაოს და ადგილობრივ გარემოსდამცველებს მივცემთ საშუალებას დააკვირდნენ მკვლევარების მუშაობას. ვფიქრობ, ეს საინტერესო შეთავაზებაა და უნიკალური შესაძლებლობა ადგილობრივი გარემოსდამცველებისთვის მონაწილეობა მიიღონ კვლევებში საერთაშორისო რანგი და ადგილობრივ ექსპერტებთან ერთად“ -განაცხადეს კომპანიის წარმომადგენლებმა და ჰესის მიმართ სკეპტიკურად განწყობილებს კურორტ ბასხაროზე ერთად წასვლა და ადგილზე საკითხის შესწავლა შესთავაზეს.

შეგახსენებთ, „ბასვი 1 ჰესი“ არის მდინარე ბასვისწყალზე აგებული, მცირე ჰიდროელექტროსადგურის პროექტი, (12 მგვტ.) ამჟამად კვლევის ეტაპზეა.

„პატრიოტთა ალიანსი“ მხარს უჭერს 1918 წელს თურქებთან ბრძოლაში დაღუპული გმირების უკვდასყოფად ქაბლის აღმართვას



გასულ სამშაბათს, ქ. ოზურგეთში, საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე შოთა გოგიბერიძემ ბრიფინგი გამართა.

ბრიფინგის თემა, სოფელ ოზურგეთის ტერიტორიაზე, 1918 წლის აპრილში, თურქებთან ბრძოლაში დაღუპული გმირების საფლავზე ქანდაკების აღმართვას შეეხებო-

და.

-საინიციატივო ჯგუფმა კონსტანტინე შავიშვილის, დათო მეფარიშვილის (თბილისი) ბადრი თავდუმაძის და სხვების ინიციატივით ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიტანეს ინიციატივა სოფელ ოზურგეთში, 1918 წლის აპრილში თურქებთან ბრძოლაში დაღუპულ 37 გმირის ძმათა სასაფლაოზე ქანდაკების აღმართვის შესახებ. ქანდაკების მაკეტი მოქანდაკე ივანე ცისკარიძეს ეკუთვნის. ქანდაკება გრანიტისაგან შეიქმნება.

ასეთმა პატრიოტებმა მოიყვანა დღემდე ქართველი ერი და ამ ძეგლს ღირებულებითი დატვირთვა ექნება. ჩვენი ორგანიზაცია იზრუნებს სპეციალურ ანგარიშზე ძეგლის დადგმისათვის საჭირო თანხების მობილიზებისათვის. ჩვენ გვაქვს 1905 წელს,

რუსებთან ბრძოლის ამსახველი მემორიალი ნასაკირალში, ამიტომ იმედია ანტითურქულ განწყობას არ დაგვანამებენ -თქვა ჟურნალისტებთან შოთა გოგიბერიძემ.

შოთა გოგიბერიძემ ისაუბრა პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ ცენტრალური მედია საშუალებების დამოკიდებულებისა და საპარლამენტო არჩევნებში მათი შედეგების შესახებ.

-მედია პოლარიზებულია, პორალიზებულია მოსახლეობის ნაწილიც. როგორი დასაჯერებელია, რომ არჩევნებში „პატრიოტთა ალიანსმა“ და ქვეყნის ნარკოტიკული თრობის პარტიამ ერთნაირი ხმები მიიღეს? ამჟამად ირმა ინაშვილს აქვს სპეციალური გადაცემა „მე-8 სტუდია“-საიდანაც მოსახლეობას საინტერესო ინფორმაციებს მიანდის-თქვა შოთა გოგიბერიძემ.

ჩაის კლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის, საბრანტო დახმარებები და 90 პროცენტის თანადაფინანსება სოფლისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა, გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულთან, გიორგი სახოკიასთან ერთად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერით რეაბილიტირებული ჩაის პლანტაცია დაათვალიერა.

„2016 წლიდან, სახელმწიფომ მეჩაიეობის დარგის მნიშვნელოვანი განახლება დაიწყო. ხორციელდება საგრანტო დახმარებები და 90 პროცენტის თანადაფინანსება მიტოვებული და განადგურებული პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის. შპს „ლაითური - ჩაის საექსპორტო კომპანია არის ამის თვალსაჩინო მაგალითი, ერთ-ერთი წარმატებული მეურნეობა, სადაც უკვე პროდუქციას იღებენ“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

მინისტრმა ქართული ჩაის აგროტურისტულ პოტენციალზე

ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველო ერთ-ერთია იმ ევროპული ქვეყნებიდან, სადაც ჩაის აწარმოებენ და, შესაბამისად, აქცენტის გაკეთება აგროტურიზმის მიმართულებით შესაძლებელი და საინტერესოა; გურიის რეგიონში უკვე დაიწყო პროექტი „ჩაის გზა“, რომელიც ტურისტული ნაკადების ორგანიზებულად მართვას გულისხმობს.

შპს „ლაითური - ჩაის საექსპორტო კომპანია“ ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში, 25 ჰექტარამდე ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია მოახდინა. ჯამში, სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულებამ 61,950 ლარი შეადგინა, საიდანაც 43,000 ლარზე მეტი სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა. გურიის რეგიონში, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის „ქართუ-



ლი ჩაი“ ფარგლებში, 203 ჰა-ზე ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია განხორციელდა. სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება 494,000 ლარს აჭარბებს, საიდანაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსება 358,000 ლარზე მეტია.

რეაბილიტირებული ჩაის პლანტაციის დასათვალიერებლად, მინისტრთან და გურიის გუბერნა-

ტორთან ერთად, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი, ილია თამარაშვილი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატი ვასილ ჩიგოგიძე და პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ხატია წილოსანი იმყოფებოდნენ.

ოზურგეთი საარჩევნო ბილბორდებისა და ბანერების ღია სამუზეუმო ქალაქის პირსპექტივით



„ეს ბანერი გაკრულია ჩვენს ოფისზე, ამდენად არ ჩავთვალეთ საჭიროდ მისი ჩამოსხნა. ფაქტობრივად არჩევნები მოხდეს არჩევნებს“, – გვითხრა ლადო ვადაჭკორიამ.

კითხვაზე – ხომ არ მოუმართავს ვინმეს ბანერის ჩამოსხნაზე, ბატონმა ლადომ გვიპასუხა: „ამ თემაზე არავინ დაგვკავშირებია და არც არავის უთქვამს არაფერი“.

როგორც ოზურგეთის №60 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბერდია ლომიძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან საარჩევნო პროცედურები, მათ შორის საარჩევნო საგიტაციო მასალების ჩამოსხნაც, განახორციელონ საქართველოს საარჩევნო კოდექსის დაცვით:

საარჩევნო სუბიექტები ვალდებული არიან საარჩევნო პროცედურები, მათ შორის საარჩევნო საგიტაციო მასალების ჩამოსხნაც, განახორციელონ საქართველოს საარჩევნო კოდექსის დაცვით. ხსენებული კოდექსის 46-ე მუხლის მე-8 პუნქტში განვიხილოთ, რომ „შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს საგიტაციო მასალების ჩამოსხნა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი მიხეილ შილაკაძე ხაზს უსვამს იმას, რომ

ოფიციალურად დაეგზავნათ წერილები საარჩევნო სუბიექტებს: „შემიძლია გითხრა, რომ ვადების დაცვით, ყველა საარჩევნო სუბიექტთან დაავგზავნეთ ოფიციალური წერილები საარჩევნო საგიტაციო მასალების თაობაზე, უმეტესობამ აიღო კიდეც, ვისაც არ აუღია, ვაპირებთ, ხელმეორედ მივმართოთ. რაც შეეხება კერძო შენობებზე განთავსებულ რეკლამებსა და ბილბორდებს, ჩვენ არ გვაქვს უფლება მივმართოთ მესაკუთრეს, რომ ჩამოსხნას ისინი. თხოვნა შეიძლება“, – გვითხრა მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსმა მიხეილ შილაკაძემ.

ჩვენი აზრით, კერძო მესაკუთრესაც უნდა მიეთითოს ამის თაობაზე. თორემ რა გამოდის – მე, როგორც კერძო მესაკუთრეს, თუ ყველაფრის გამოფენის უფლება მომეცა, ავდგები და ჰიტლერის სურათს გამოვფენ. მოგეწონება?

არაოფიციალური ინფორმაციით, ჩამოუსხნელობით ქალაქის იერსახეზე უარყოფითი გავლენისთვის სანქცია თურმე 50 ლარს შეადგენს (!?). სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს, ამ ბანერების ჩამოსხნას რომელი 50 ლარი ეყოფა. ამიტომ, ალბათ, ურჩევნიათ ჩამოუსხნელი დატოვონ,

მით უფრო, რომ მათი ვერც იმ 50 ლარით დამჯარიმებელია ვინმე და ვერც ყურებზე ხახვის დამჭრელი.

საკითხში უკეთ გარკვევის მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელს, თამაზ ტრაპაიძეს მივმართეთ რამდენიმე კითხვით:

– ბატონო თამაზ, რა ვადაში უნდა ჩამოსხნას საარჩევნო პლაკატები და ბილბორდები არჩევნების შემდეგ?

– კანონის შესაბამისად, საგიტაციო მასალების ჩამოსხნა უნდა განხორციელდეს არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში.

– რას ითვალისწინებს შესაბამისი კანონი ჩამოუსხნელობის შემთხვევაში?

– საარჩევნო კოდექსში მითითებულია, რომ თუ 15 დღის ვადაში საარჩევნო სუბიექტი ვერ უზრუნველყოფს საგიტაციო მასალების ჩამოსხნას, მას დაეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. თუმცა, პირდაპირ არც ერთ ნორმატიულ აქტში არ არის მითითებული თუ ვის მიერ და რა სახის პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს მათ. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს საკანონმდებლო ხარვეზთან.



– ჩამოუსხნელობაზე მხოლოდ არჩევნებში მონაწილე პარტიას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა თუ ამ პარტიის მიერ წარდგენილ კანდიდატსაც?

– საარჩევნო სუბიექტი არის როგორც პარტია, ასევე კანდიდატი. ამდენად, პასუხისმგებლობა ორივე მათგანს უნდა დაეკისროს.

– ვინ უნდა აცნობოს არჩევნებში მონაწილე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს საარჩევნო პლაკატების ჩამოსხნის შესახებ?

– სამწუხაროდ, კანონმდებლობით არც ეს არის დაკონკრეტებული, მაგრამ ლოგიკურად ეს საკითხი შესაბამისმა საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა მოაწესრიგოს.

– რა ხდება მაშინ თუ არჩევნებში მონაწილე ფიზიკური თუ იურიდიული პირი მითითების შემდეგაც არ

სხნის თავის საარჩევნო ბილბორდს თუ პლაკატს? – ზემოხსენებული ხარვეზის გამო, ამ მუხლის დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობა შესაბამისი საარჩევნო სუბიექტებს არ ეკისრებათ.

მადლობა ბატონ თამაზს. შესაბამისი საარჩევნო სუბიექტებს პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ, აი კანონი!!! თუ არ ეკისრებათ, იმიტომაცაა აქაურობა „კარგი სანახავი“. ჯერ სადა ვართ, ცოტაცა, ცოტაცა, კიდეც რამდენიმე არჩევნები, ესე იგი კიდეც რამდენიმე შემოდგომა და ოზურგეთი საარჩევნო ბილბორდებისა და ბანერების ღია სამუზეუმო ქალაქად გადაიქცევა. აბა ამ არჩევან-არადანობის დაუმთავრებელ ეპოქაში, ქალაქის არქიტექტურულად განვითარებისთვის, ფულს ვინ ოხერი გაიღებს?!

ირაკლი პეტრიაშვილი: „ღღეს კიდეც ერთხელ საზბასმა ხდება იმისი, რომ საქართველოში არსებული ნორმები, სტანდარტები და კანონმდებლობა ინვესტორს ფეხზე ჰკიდია“



უფლება, წარმოვადგინდეთ ამ მხარეს; არავის არ აქვს უფლება უარი თქვას მოლაპარაკებაზე. თუ მოლაპარაკების გზით ეს პრობლემა არ მოგვარდა, არა მარტო გურია, არამედ მთელი

საქართველოს პროფკავშირები დადგება ამ ხალხის გვერდით; ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ გაფიცულ მუშებს და გაფიცვის დღეებში მათ პროფკავშირების წევრები დახმარებას გაუწევენ.

–საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება სოლიდარობას უცხადებს დასაქმებულებს და დამსაქმებლებმა, დროულად უნდა გადადგას გონივრული

ნაბიჯი. დღეს ჩვენ სოლიდარობა გამოვუცხადებთ გაფიცულ მუშებს, მატერიალურად დავეხმარეთ, იმას რასაც დამსაქმებელი არ აკეთებს, ჩვენ გავაკეთებთ და ეს უნდა იყო სიგნალი, დასხდეს მოლაპარაკების მაგიდასთან ორთავე მხარე, –განაცხადა აქციაზე დაქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების წარმომადგენელმა ბექა სეფიაშვილმა.

შემდეგ ირაკლი პეტრიაშვილმა მზაობა გამოთქვა მოლაპარაკების და ამის შესახებ კომპანიის ხელმძღვანელებს დაცვის საშუალებით აცნობა, თუმცა მოლაპარაკება არ შედგა.

–ბუნებრივია პროტესტი გრძელდება, სოლიდარობა და ის გზავნილი, რაც ჩვენი ჩამოსვლით დავაფიქსირეთ, რომ მზად ვიყავით მოლაპარაკებისთვის. ამის იგნორირება გამოიწვევს იმას რომ, საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების წევრები, დარგობრივი ორგანიზაციები იქნებიან სოლიდარობით

თქვენს მიმართ. რაც შეეხება გაფიცვას, მანამ, სანამ ეს ქარხანა იქნება აქ, გაფიცვა მანამ გაგრძელდება. ჩვენ, შეძლებისდაგვარად, სახელმწიფო სოლიდარობის ფონდი, გაუწევთ დახმარებას ჩვენს გურულ დებს და ძმებს.

მივმართავ, როგორც ხელისუფლებას, ისე თურქეთის ელჩს, აუხსნან დამსაქმებლებს, რა არის ქართული კანონმდებლობით განსაზღვრული და რას არღვევს ის ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ეს ყველაფერი მიდის სისხლის სამართლის საქმედ, ბუნებრივია, პროფკავშირები ამ საქმეს მიიყვანს ბოლომდე. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშში მოხვდება, რომ კანონმდებლობის იმპლემენტაცია ანუ სარგებლობა, ხალხამდე არ მიდის. რეალურად კანონმდებლობაში ჩანერილი ცივილიზებული ნორმები და სტანდარტები, ეს გახლავთ სრული ბლეფი, იმიტომ რომ საქართველოს მოქალაქეები ამით ვერ სარგებლობენ.

ჩვენ მოლაპარაკების კარს არ ვხურავთ და მზად ვართ შედგეს მოლაპარაკებები, განაცხადა პეტრიაშვილმა.

კომპანია „გურია ექსპრესის“ გაფიცული მუშების აქცია 35 დღეა მიმდინარეობს. გაფიცული მუშები არასათანადო სამუშაო პირობებს, დაბალ ანაზღაურებას და ხელმძღვანელების მხრიდან არასათანადო მოპყრობას აპროტესტებენ... მიმდინარე პროცესებში შრომის სახელმწიფო ინსპექციაც ჩაერთო...

გასულ შაბათს გაფიცულმა მუშებმა, მსვლელობა მოაწყვეს ქ. ოზურგეთში და კვლავ სთხოვეს ადგილობრივ ხელისუფლებას თანადგომა.

გავრცელებული ინფორმაციით „გურია ექსპრესის“ ხელმძღვანელები გაფიცულ მუშებთან არანაირ მოლაპარაკებას არ აპირებენ და დავას სასამართლოში გააგრძელებენ. სასამართლოს შესაბამისი საჩქელით მიმართავენ გაფიცული მუშებიც.

ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის

ინსტიტუტი 90 წლისაა

90 წელი შეუსრულდა ინსტიტუტს, რომლის მეცნიერთა ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების საფუძველზე, შედარებით ხანმოკლე პერიოდში, შესაძლებელი გახდა მსოფლიო სუბტროპიკების ჩრდილოეთ საზღვარზე სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის და გადამამუშავებელი ინდუსტრიის ჩამოყალიბება, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება.

ალანინშავია, რომ ჩაის მცენარეზე პირველი კვლევები დაწყებულია 1889 წელს ოზურგეთში, ზვანის საცდელ სადგურში, თანმიმდევრული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაწყება კი 1901 წელით თარიღდება ამავე დაწესებულებაში. ჩაის მცენარის ინტროდუქციებამ მძლავრი სტიმული მისცა დასავლეთ საქართველოს ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების შესწავლას და ორ ფუნდამენტურ დებულებას - სუბტროპიკული სარტყელის მცენარის და ნიადაგის ვერტიკალურ ზონალობას.

1930 წელს, ყოფილი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ოზურგეთის, ჩაქვისა და ზუგდიდის საცდელი სადგურების ბაზაზე ოზურგეთში, ანასუღში დაარსდა ჩაის მეურნეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. 1927-1928 წლებში შექმნილი ჩაქვისა და ზუგდიდის საცდელი სადგურები ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდნენ ფილიალების სტატუსით. 1937 წელს ინსტიტუტს ფილიალის უფლებამოსილებით შეუერთდა ქ. სოხუმში განთავსებული ტენიანი სუბტროპიკების საკავშირო ინსტიტუტი, ხოლო 1942 წელს კოლხეთის აგრომელიორაციული საცდელი სადგური, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა ინსტიტუტის კვლევის არეალი.

1953 წელს ინსტიტუტის ტექნოლოგიის განყოფილების ბაზაზე დამოუკიდებელი სტატუსით დაფუნდდა ჩაის მრეწველობის ყოფილი საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. შემდგომ პერიოდში ინსტიტუტებმა რამდენჯერმე განიცადა რეორგანიზაცია. 1975 წელს ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ბაზაზე, ხოლო 1981 წელს ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტის ბაზაზე ჩამოყალიბდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები. 1988 წელს ეს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები შეერთდა და ჩამოყალიბდა ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება. 1992 წელს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება გამოვიდა საკავშირო დაქვემდებარებიდან და საქართველოს სოფლის მეურნეობის ახალ-შექმნილ მეცნიერებათა აკადემიას შეუერთდა.

2006 წელს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება დაფუნდდა - სსიპ ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტად საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს შემადგენლობაში, ხოლო 2010 წელს ქვეყანაში განხორციელებული რეფორმის შედეგად, ინსტიტუტი ფუნქციონირებას საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის შემადგენლობაში განაგრძობს.

ამ წლების განმავლობაში სამეცნიერო კვლევები დაკავშირებულია ჩინებული მკვლევარებისა და სპეციალისტების სახელთან, რომელთა ჩამოთვლა შორს წავიყვანს. დღევანდელი თაობა, წინა

4-5 თაობის მიერ შექმნილი ცოდნის და გამოცდილების მცველებს, გამზიარებლებს და შეძლებლობის ფარგლებში გამრავლებლებს და ახალი ცოდნის შემქმნელებს წარმოადგენს. ძნელია დაასახელო მსოფლიო სამეცნიერო წრეებში შესრულებული სამუშაო, რომლის ანალოგი აქ, ანასუღშია;

მოვიყვან მხოლოდ ერთ, ძალზე ტრაგიკულ შემთხვევას. იმ დროს, როდესაც ცნობილმა კომპანიამ „ნესტლე“ ხსნადი ყავის ტექნოლოგიაზე მუშაობა დაიწყო, ჩაის მწარმოებელ ქვეყნებს შორის, მხოლოდ საქართველოში, აქ ანასუღში, თედო ნაცვლიშვილს მნიშვნელოვანი შედეგები ჰქონდა მიღებული ხსნადი ჩაის ტექნოლოგიის შემუშავების მიმართულებით. ეს ნიჭიერი ახალგაზრდა ადამიანი,

რობილ მინებზე სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის სისტემა;

- ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის და გადამამუშავების პრომატევადი პროცესების მექანიზაცია, განსაკუთრებით მცირე მექანიზაციის საშუალებები (სასხლავი და საკრეფი ხელის აპარატები და სხვ.) ჩაის ნედლეულის გადამამუშავებელი ნაკადური მექანიზებული და ავტომატიზებული ტექნოლოგიური ხაზები;

- ჩაის კონცენტრატების, გრანულირებული პროდუქტების და უალკოჰოლო სასმელების მიღების და ნედლეულის გადამამუშავების კომპლექსური უნარჩენო ტექნოლოგიები, და მრავალი სხვა.

- ბოლო წლების კვლევები ახალი ცოდნის შექმნა-გავრცელების

თულებით არსებული ძირითადი პრობლემების და პრიორიტეტების იდენტიფიცირება, ძირითადი ამოცანების განსაზღვრა, რომლებზეც ეტაპობრივად მოხდება ფოკუსირება მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

2. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2015 წ. 12 აგვისტოს №2-184 ბრძანების შესაბამისად, სამუშაო გეგმის მიერ შემუშავებული „ჩაის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტის კიდევ ერთხელ კომპეტენტური განხილვის და დამტკიცების უზრუნველყოფა. ტექნიკური რეგლამენტი მიზნად ისახავს ჩაის წარმოების, გადამამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა

სისტემების მოდერნიზება“ ფარგლებში.

5. მაღალხარისხიანი, სპეციალიზებული ქართული ჩაის - პროდუქტის „განსხვავებული“ მახასიათებლებით (მოყვანის გეოგრაფია, ჩაის სახეობა, ტექნოლოგია, უნიკალური არომატული და საგემოვნო თვისებები და სხვ.) ინდუსტრიის ჩამოყალიბება. ეს არის პრემიუმ ჩაი და ჩაი გურმანებისთვის, სპეციალურად წარმოებული წინასწარ გამოვლილი მაღალი ღირებულების ნიმუშების ბაზრების დასაკმაყოფილებლად“. პერსპექტივაში შეიძლება ვიფიქროთ სადემონსტრაციო ობიექტი-საწარმოს შექმნაზე, რომელიც გახდება გამოცდილების ცენტრი ჩაის ინდუსტრიის შემდგომი განვითარებისთვის.

ასეთი კონცეფცია და პროექტი არსებობს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია სამთავრობო სამუშაო გეგმის ფორმატით მისი განხილვა.

6. იმპორტის ჩანაცვლების კუთხით ქვეყნის შიდა ბაზარზე ქართული ჩაის ეტაპობრივი დაბრუნების ხელშეწყობის ღონისძიებების შემუშავება, კერძოდ: სპეციალური სარეკლამო ბუკლეტების შექმნა გამორჩეულ ნიმუშ-თვისებებზე აქცენტებით და ეროვნული სიმბოლიკით, რომელიც ქართული ჩაის საეიჯიტო (დასრულების ფაზაშია ასეთი დოკუმენტის ინგლისურენოვანი ვერსია); რეკლამირება მედია საშუალებებით; ქართული სპეციალიზებული ფერმერული ჩაის სარეალიზაციო ობიექტის გახსნის ხელშეწყობის უზრუნველყოფა; შესაძლებლობის ფარგლებში იმპორტული პროდუქტის ხარისხისა და უვნებლობის ნორმებთან შესაბამისობის რეგულარული შემოწმება.

7. კიდევ ერთხელ, მუნიციპალიტეტების დონეზე და ადგილზე მოქმედი სამსახურების მეშვეობით, არსებული ჩაის პლანტაციების მდგომარეობის ზუსტი შეფასება, რის შედეგადაც გამოვლინდება ფოთოლსაკრეფი და სარეალიზაციოდ ვარგისი პლანტაციები, რომლებზედაც შესაძლებლობის ფარგლებში მოხდება სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერითი პროგრამების განხორციელება.

დასასრულს, მინდა გამოვთქვა იმედი იმის თაობაზე, რომ პოსტ-პანდემიურ პერიოდში სამინისტროს გაუჩნდება მიზნობრივი სახარების სამეცნიერო პროექტების პროგრამული დაფინანსებისთვის, რომელთა შესრულებაში, კონკურენტულ პირობებში, განურჩევლად იურიდიული სტატუსისა, მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის რამდენიმე უნივერსიტეტში მოქმედი აგრარული პროფილის ჯანსაღი სამეცნიერო ერთეულები.

შესაძლებელია შემუშავდეს „საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამა კრიზისული და პოსტკრიზისული პერიოდებისთვის“ (პირობითი სახელწოდებით „აგრო“ 2021-2024)“, რომლის მომზადება და კოორდინაცია დაეკისრება აგრარულ საკითხებში ქვეყნის მთავრობის მთავარ მრჩეველს - საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას.

თაყაი რაჰვიშვილი,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი



სხვა მრავალ შემოქმედ და ჭეშმარიტ მამულიშვილთან ერთად, 1937 წელს დახვრიტეს (!).

გამოყვან მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან სამეცნიერო შედეგს:

- აკად. ქსენია ბახტაძის მიერ, თანამოაზრებთან ერთად, კლასიკური სელექციის (ჰიბრიდიზაცია) მეთოდებით გამოყვანილი 29 სელექციური ჩაის ჯიში, მათ შორის, საქართველოში - 16, აზერბაიჯანში - 9, რფ კრასნოდარის მხარეში - 4. კლონური სელექციით შეჩვენული კლონი №257, რომელიც 1974 წლიდან დარაიონებულია ცნობილი სახელწოდებით „კოლხიდა“. ასევე რიგი პერსპექტიული ჰიბრიდები;

- მაღალპროდუქტიული, ყინვაგამძლეობისა და დაავადებათა მიმართ იმუნურობით გამორჩეული მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის, ფეიჰოას, მუშმულას, კივის (აქტინიდა), თხილის, კაკლის და პეკანის, ბამბუკის, სტევიის ახალი ჯიშ-ფორმები;

- ჩაის, ციტრუსოვნების და სუბტროპიკული კულტურების მოვლა-მოყვანის და შენახვა-გადამამუშავების ოპტიმალური ტექნოლოგიები, რომლებიც, მოსავლიანობასთან ერთად, პროდუქციის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფენ;

- სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მანებებლების, სოკოვანი, ბაქტერიული და ვირუსული დაავადებების კვლევის შედეგები და მათთან ბრძოლის ქიმიური და ბიოლოგიური მეთოდები. გამოვლენილი სასარგებლო მწერები (ენტოფაგები), ანტიგონისტების და ფიტოფაგების მრავალი სახეობა, მანვე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებულ სისტემაში მათი ჩართვის მიზნით;
- კოლხეთის დაბლობის და-

და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით.

ყოველივე აღნიშნული და სხვა აგრეთვე მნიშვნელოვან კვლევებთან ერთად თავმოყრილია სამეცნიერო, რეფერირებად ჟურნალში „სუბტროპიკული კულტურები“, რომელიც 1939 წლიდან იბეჭდებოდა და იგზავნებოდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ქართველი მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით.

მოგესხენებათ, რომ გამოყენებითი კვლევების ეფექტიანობა იზომება ამონაგებით დახარჯულ ერთეულ თანხაზე, რაც ჩვენს შემთხვევაში აჭარბებდა 4 - ს.

ახლა დაფიქრდეთ განსახილველ ძირითად საკითს, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის და შემდგომი განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომლის შესახებ მოგახსენებთ ჩემს ზოგიერთ მოსაზრებას.

უმძაფრესი კონკურენციის და იმ პირობებში, როდესაც ქვეყნის შიდა ბაზრის 70%-ზე მეტი გაჯერებულია უცხოური ჩაით, ქართული მეჩაიეობა გადაუდებელ სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებას და შესაბამის ინვესტიციებს მოითხოვს. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №20 დადგენილებით განხორციელებულმა პროგრამამ „ქართული ჩაი“ გარკვეული დადებითი როლი შეასრულა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის (1050 ჰა-ზე მეტი) და საწვდელულო ბაზის ეფექტიანი გამოყენების მიმართულებით.

მოცემულ ეტაპზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი:

უფლებების დაცვას.

3. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერილი პროგრამების განხორციელების ფარგლებში, ისეთი ტექნოლოგიური მოწყობილობების და ტექნიკური საშუალებების იმპორტირება, რომელთა დამზადება მოცემულ ეტაპზე ვერ ხერხდება საქართველოში. ასეთად მიგვაჩნია უცხოური ნარმოების (უპირატესად იაპონური) ჩაის ფოთლის საკრეფი და პლანტაციაში პრომატევადი პროცესების მცირე მექანიზაციის საშუალებები. ეს მიდგომა მართებულია გვესახება სამამულო მანქანათმშენებლობის ჯერ კიდევ შემორჩენილი სიმძლავრეების გადარჩენა-ხელშეწყობისა და სავალუტო რეზერვების მართვის თვალსაზრისით. სასურსათო მანქანათმშენებლობის ასეთი გადარჩენილი სიმძლავრე, სახელწოდებით „მეტალტექნიკა“, აქვე ეზოში, ჩვენს სახელოსნოში ფუნქციონირებს და ურთიერთსასარგებლო საქმიანი თანამშრომლობის ცოცხალი მაგალითია - „მეცნიერება-პრაქტიკული რეალიზაცია“.

4. მეჩაიეობის რეგიონებში მოქმედი კომპანიების და ფერმერული მეურნეობების კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის მიზნით, ადგილზე მოკლევადიანი, პროფესიული სწავლება - გადამზადების (არაფორმალური განათლება) კურსების ორგანიზება შესაბამისი აკადემიური დანესებულებების და პერსონალის ჩართულობით. ასეთი მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა და სახელმძღვანელო არსებობს და აპრობირებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლებისა და ექსტენციის

წარსულისა და მომავლის გეობრაფი

„ვიყავი მონმე, გურიაში ვნახე პირველად...
ფეხზე წამოხტა რანაირად სისხლი ფირალთა.“
მუსრან მაჭაპარიანი

მასში გაცხადებულია ქართველი კაცის მარადი ხატი - მიწასთან მტკიცედ და ერთგულად დაკავშირებული და ცისკენ დაუღალავად მომზირალი - მითოლოგიური კოსმოსის ეტაპიდან ვიდრე ერთი ღმერთის შეცნობამდე და დღემდე.

მისი სტიქია ძველი და ახალი სამყაროს ბალანსირება; თავისუფლების შეცნობა და გაზიარება, ცოდნის მიღება და გაცემა, პრომეთეს ცეცხლის მუდმივი ალუზია.

ჩვენმა უცნაურმა საუკუნემ დაანაკუნა ადამიანი. სიმპტომატურია ხასიათის ფრაგმენტების გამოვლინება, ვითარების მიხედვით, სიტუაციების შესაფერისად. გარემოსა და საზოგადოების „განათების“ ფონზე ქამელეონივით იცვლება ფერები და სახეები. მთლიანობის აღქმა დარღვეულია. სახის მთლიანობა - მით უფრო.

მაგრამ ჩვენი 80 წლის გმირი ამ ჩარჩოში არ მოიხარება. ისევ იგივეა: ემოციათა სიმძაფრით, პირდაპირობით, უდიდესი ცხოვრებისეული გამოცდილებით, მკვახე ენისა და უზომოდ თბილი, კეთილი გულის ჰარმონიული, უკონფლიქტო თანაარსებობით.

და რაც ყველაზე მთავარია - ხასიათის მთლიანობით.

ის ჩემთვის არის ყველაზე ნათელი მაგალითი, როგორ ჩქეფს ეპიგრაფად გამოყენებული, მუხრანისეული ფირალთა სისხლი, ეკლესიების მაშენებელი, კარედებისა და ხატების შემქმნელი მორწმუნე კაცის ღმობიერ გულში.

რალა ქართველი იქნებოდა, ლექსებიც რომ არ ეწერა...

მერყევი ფასეულობებისა და გარდამავალი სიმბოლოების ეპოქაში, როგორ არ დავაფასოთ მტკიცე პოზიცია; ერთხელ აღებული კურსის ერთგულება. პოლიტიკის მუდმივ შტორმში ვცხოვრობთ და ვახტანგ მამიშვილი არასდროს ირხევა, „ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა.“ ეროვნული გმირების მეგობარი, დამარცხებული ეროვნული ხელისუფლების უპირობოდ და უანგაროდ მოყვარული, განდევნილი ორდენის რაინდების მსგავსად.


რაინდი ვახსენე და არ შემოძლია, გვერდი ავუარო უდიადესი სერვანტესის უპირველეს გმირთან ნათესაობას. ხომ ნამდვილი გურულია, ამყად დამშვენებული წვერ-ულვაშით, ხომ უსაკაო განუყრელი ჯინსითაც, მაგრამ

თან გენიალურ იდაღოსაც მაგონებს - სიკეთის მცველი და უსამართლობის ნისქვილებთან მებრძოლი.

მიყვარს მისი სიახლოვე მიწასთან, მისი საუბრები ჩხავერსა და საკმიელაზე; მამისეულ კარმიდამოსა და საზოგადო საქმეებთან ერთნაირი რუდუნებით მიდგომა. მხოლოდ საკუთარ ჯამში მაცქერალი, კეთილდღეობის ნაჭუჭში მომწყვდეული კაცების სრული ანტიპოდი და საუკეთესო ნიმუში, როგორები უნდა იყვნენ წუთისოფლის ნამდვილი შვილები.

სათაურში გეოგრაფი შემთხვევით არ მიხსენებია. გეოგრაფობას უპირებდნენ თურმე და არ გამოვიდა ეს საქმე. მაგრამ ერთგვარი მოგზაური და მძიბელი მანცაა თავის ნამდვილ, ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ, უღალატო პროფესიაში. ცხადია, მოსწავლეებსაც ამოგზაურებს ხელოვნების ტროპიკებსა და მერიდიანებში, სამხატვრო სკოლის ბავშვების აღმზრდელი და მეგობარი, თავადაც დიდი ბავშვი.

ერთ რამედ ღირდა ნახვა, რა მონდომებით ხატავდა ჩვენს პორტრეტებს. ჯავრობდა, შლიდა, ასწორებდა... რადგან მაქსიმალისტი



გვყავს. მერე ისევ იუმორს მოიშველიებდა: „ცხვირი ჰგავს? ჰგავს!“
ეს კი სულ პატარა ესკიზია პორტრეტისთვის. მხნე, ღმილიანი, დაუღალავი, ფუტკრის მსგავსად ფუსფუსა, მეგობრებისთვის (და არა მხოლოდ) ძვირ-

ფასი ადამიანის პორტრეტისთვის. რომელიც ასეთი უნდა დარჩეს ძალიან დიდხანს და უსასრულოდ. მტკიცე და გაუზზარავი, როგორც ხალხური დიდი იმედების კირით ნაგები კოშკი.
ლია მოლარიშვილი

„ალიონი“ - 90 1937 წელი

კინო

შამთხვევა კინოში

ქუჩაში გამოკრული აფიშები იუნყებოდა, რომ 2 ოქტომბერს ნაჩვენები იქნებოდა კინოსურათი „დაკარგული სამოთხე“. კინო თეატრს მრავალი მაცურებელი მიანყდა. 8 საათზე კი არ დანიყო სურათის ჩვენება, როგორც ეს აფიშაზე იყო ნაჩვენები, არამედ 8 საათსა და 30 წუთზე შეძლეს კინოსეანის ჩვენება.

მაგრამ მაცურებელთა თვალწინ მიდის სურათი არა „დაკარგული სამოთხე“, არამედ „...პარტიზანის ქალიშვილი“.

ხალხში ატყდა ჩოჩოლი, ყველა აღშფოთებულს გამოსთქვამს ამ „იშკილის“ გამო. ზოგიერთი მოითხოვს „დაკარგული სამოთხის“ ჩვენებას, ზოგი უწმინდური სიტყვებით იგინება კინო ბაზის ხელმძღვანელთა მისამართით, ზოგს კინომექანიკზე გადააქვს მთელი იერიში, მაგრამ ხალხი მოტყუებული დარჩა. „პარტიზანის ქალიშვილიც“ უშნოდ ნაჩვენები დარჩა: ლენტეხის ხმირად წყდებოდა, იყო ბნელი და სხვ. მაცურებელთა თითქმის ნახევარმა დატოვა კინოთეატრი.

შეკითხვაზე თუ რატომ მოხდა ასე, კინო ბაზის ხელმძღვანელმა შ. მოლარიშვილმა და შ. გოგეშვილმა ასე განაცხადეს: „ბათუმი დაგვიპირდა დღეს 7 საათის მატარებელზე გამოვიგზავნით „დაკარგულ სამოთხეს“ და ჩვენც ამის მიხედვით გავაკარიოთ აფიშები.“ შეუდგენენ დეპეშის ტექსტის შედგენას ბა-

თუმში გასაგზავნად და თან ასე ამბობდნენ: „რაფერია მაგი, დღეს თუ არ უჩვენებთ, ხვალ ნახავთ და ამით საქმე გამოსწორდება“.

ვინ მისცათ კინო თეატრის უხეირო ხელმძღვანელებს მშრომელთა კულტურული მოთხოვნების ასე აბუჩად აგდების უფლება?

დროა, დიდი ხანია დროა ბოლო მოელოს ასეთ უმსგავსობას მახარადის კინო-თეატრში.

3. ჯაყელი

ხელოვნება

„შხამიანი გველები“

28 სექტემბერს განახლდა მახარადის თეატრში სეზონი. თეატრმა პირველად აჩვენა გონიერულად შერჩეული თემა-გორდაძის პიესა „შხამიანი გველები“.

თეატრს საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაუტარებია იმისათვის, რომ მოეცა მკვეთრ სცენურ სახეებში მავნებლის მზაკვრული ხრიკები: მლიქვნელობა, ორპირობა და ჯაშუშების ტიპიური განსახიერებანი.

პიესის მაღალ მხატვრულად შესრულებისათვის დიდი და ენერგიული მუშაობა გაუწევია თეატრის რეჟისორს ამხ. გ. როსებას. მან შეძლო პიესიდან მთლიანი სიუჟეტის დამაჯერებლად და ლამაზად ჩვენება.

თეატრის კოლექტივის შემოქმედებითა ენთუზიაზმმა უზრუნველყო აქტიორთა როლის მაღალ მხატვრული შესრულება. აქტიორთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა პროფესორ ბონდოს როლში გ. როსება, ამხ. გრიშა ლლონტი

-სერგოს როლში. ვ. ნიკოლაიშვილი ლიანას როლში. დანარჩენ შემსრულებელთა როლში შორის აღსანიშნავია ყარაბალი ვ. ჭანტურიშვილი. გიორგის როლში ივტიხი თალაკვაძე, სამსონის როლში შ. ჩავლეშვილი.

საუკეთესოა ხუმარა პოეტის როლში ამხ. დიმიტრი მახარაძე. როლებს ვერ ასრულებდა დამაჯერებლად შ. მოლარიშვილი და ირა ზურაბიშვილი.

საუკეთესო იყო სცენის გაფორმება და მხატვრობა. შესაფერისად არის დამუშავებული გამარჯვების ჰიმნი.

საჭიროა თეატრის კოლექტივმა ჩაატაროს პატარა დროში სურათების, სეანების და დეკორაციების შეცვლა.

არ იქნებოდა ზედმეტი რომ ისე, როგორც პიესაშია ნაჩვენები სერგოს მოყავდეს დოლორეს იბარუსის (პასიონარიას) გმირული ბრძოლის მაგალითები, მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ტექსტის მიხედვით, რომელიც პიესიდან ამორებულია.

პიესა მთავრდება გამარჯვების ჰიმნით და ზემით, რაც მისასალმებელია, მაგრამ შეიძლება - სერგოს მოყვანა ამხანაგ სტალინის სიტყვები კაპიტალისტური გარემოცვის და კლასობრივი სიფხიზლის გამახვილების შესახებ, რომელიც პიესაშია.

№86, 10 ოქტომბერი, 1937 წ.

ვისწავლი „ფრიაღზე“

ვისწავლობ ძიმიტის დაწყებითი სკოლის მესამე კლასში, გაკვეთილებს კარგად ვამზადებ, ვასრულებ მასწავლებლის დავალებებს. ვსწავლობ „ფრიაღზე“ და ვიძლევი პირობას ამხ. ბერიას მითითებას, რომ მოწაფეთა გმირობა „ფრიაღზე“ სწავლაა - პირნათლად შევასრულებ.

ჩვენ, ნორჩ თაობას ყველა პირობა გვაქვს იმისა, რომ ვისწავლოთ, დავეუფლოთ მეცნიერებათ მწვერვალებს, რათა შემდეგ მიღებული ცოდნა მოვახმაროთ ლენინ-სტალინის პარტიის საქმეს.

ოქტომბრული მერი გოგუაძე

ველო გადარბენის მონაწილენი მახარაძეები

20 ოქტომბერს, საღამოს ხუთის ნახევარზე ქალაქ მახარაძეში ჩამოვიდა საქართველოს ველომარულის მონაწილეთა კოლონა. მათი მარშუტი იყო თბილისი-ხაშური-ქუთაისი-მახარაძე-ბათუმი-ხულო-ბორჯომი-თბილისი. მახარაძეში პირველი შემოვიდა საქართველოს რეკორსმენი ხაბურძანია, რომელმაც მანძილი თბილისი-მახარაძე (356 კილომეტრი) დაფარა 16 საათსა და 20 წუთში. ველო-გადარბენის ყველა მონაწილე თავს მხნედ გრძნობს. 21 ოქტომბერს 11 საათზე ველო-გადარბენის მონაწილენი გაემგზავრნენ ბათუმის მიმართულებით.

№89, 22 ოქტომბერი, 1937 წ.

აყვავილები სიტყვაში

მე ლანჩხუთის რაიონის მცხოვრები ვარ. მახსოვს ბავშვობა, როდესაც კამეჩებს ვხედნიდი. მამაჩემი მიწის მუშა იყო, ღარიბად ცხოვრობდა. სწავლას სიღარიბის გამო დავანებე თავი და მამას ვეზმარებოდი ოჯახში.

1934 წელს მიმიღეს არტელ „გურკოპტყის“ ავეჯუელობის საამქროში. პირველად ხელფასსაც ვიღებდი და კიდევაც ვსწავლობდი.

1935 წელში კარგად შევისწავლე დურგლობა და შევიძლი დამოუკიდებლად მუშაობა. საგრძნობლად გამიდიდა ხელფასიც: 45 მანეთის ნაცვლად 290 მანეთი რომ მივიღე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სტახოვიური მუშაობის შედეგად ახლა თვეში ვრებულობ 800 მანეთს. მე ჩვიდმეტი წლის ვარ, ხელობას ვასწავლი ორ ამხანაგს, ერთს უკვე შევასწავლე, შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, ხოლო მეორე სწავლას განაგრძნობს.

ახლახან ქუთაისში მე სტახანოველთა შეკრებაზე ვიყავი, სადაც გაგზიარე ჩემი გამოცდილება არტელის სხვა წევრებს. მე იქ პატეფონით და სხვა ძვირფასი საჩუქრებით დამაჯილდოეს.


მიყვარს ჩემი საყვარელი სამშობლო, მიყვარს დიდი სტალინი, რომელმაც ბედნიერი ცხოვრება მოგვანიჭა.

აპაქი პატარავა

(„გურკოპტყის“ საავეჯუო საამქროს სტახანოველი)
№94, 7 ნოემბერი, 1937 წ.

ლეილა გელაშვილი

არსენ ჭალაიძე



წუთისოფლიდან კიდევ ერთი სანიმუშო ქალბატონი წავიდა. ზნეკეთილი და გულისხმიერი, პრინციპული და სამართლიანი, უშრეტო ენერჯისა და ამაღლებული პასუხისმგებლობის მქონე, მართვის ხელოვნებით დამშვენებული, სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკი.

ანასეულის №7 საბავშვო ბაღის ტოლუპოვარი ხელმძღვანელი, ღირსეული პიროვნება ლეილა გელაშვილი გარდაიცვალა. მან ათეული წლების მანძილზე საქმის უსაზღვრო სიყვარულით დიდი ამაგი დასდო სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. მისეულ ნიჭსა და უნარს უშურველად უნანილებდა კოლეგებს. იყო ყოველივე სიახლის ინიციატორი და მოთავე. გარკვეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა სკოლამდელი დაწესებულებების გამგეთა მეთოდურ გაერთიანებას. იგი ათეული წლების მანძილზე თავდაუზოგავად იღვწოდა ნორჩების საკეთილდღეოდ, მან კეთილშობილური მოღვაწეობით უთვალავ ცეროდენებს სითბო

და სიყვარული მიანიჭა. უბადლო მანდილოსნის, სანიმუშო კოლეგის, სიძარბასილითა და თავმდაბლობით გამორჩეული პიროვნების, ღვაწლმოსილი პედაგოგის, ლამაზი ოჯახის მოვლასა და გულგანს მასპინძლობაში დაუღლეელი ქალბატონის ლეილა გელაშვილის ხსოვნა მარად დარჩება კოლეგების, ახლობლებისა და მეგობრების გულში.
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის №7 საბავშვო ბაღის კოლექტივი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

ოზურგეთის რაიონის პედაგოგურ საზოგადოებას გამოაკლდა კიდევ ერთი პედაგოგი, გარდაიცვალა დაბა ლათურის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ჭეშმარიტი მოქალაქე, ბატონი არსენ ჭალაიძე. მან თავისი ცხოვრების ნახევარი საუკუნე მიუძღვნა პედაგოგურ მოღვაწეობას, აღზარდა არაერთი თაობა. არსენ მასწავლებელი დიდი მონდომებითა და გულისყურით აკეთებდა თავის პროფესიულ საქმეს. კეთილშობილი პიროვნება, ყველასათვის საყვარელი მასწავ-

ლებელი, ასე იცნობდნენ არსენ ჭალაიძეს ლათურში. იგი ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ იცოცხლებს ლათურის საჯარო სკოლის პედაგოგთა და მისი აღზრდილების გულში.
ლათურის საჯარო სკოლის კოლექტივი.
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის-რაიონული ორგანიზაცია

ს ს ო რ ტ ი

ევროპის მე-16 ჩემპიონატი იწყება



11 ივნისს, იტალიის დედაქალაქ რომში იტალია-თურქეთის მატჩით გაიხსნება ევროპის მე-16 ჩემპიონატი ფეხბურთში. ჩემპიონატი შარშან უნდა გამართულიყო, მაგრამ პანდემიის გამო გადაიდო. ეს ჩემპიონატი საიუბილეოა - შარშან 60 წელი შესრულდა მისი დაარსებიდან. ჩემპიონატის მატჩები

გამართება ევროპის 12 ქალაქში: ლონდონში, მიუნხენში, ამსტერდამში, რომში, კოპენჰაგენში, გლაზგოში, პეტერბურგში, ბუდაპეშტში, ბუქარესტში, ბილბაოში, დუბლინში, ბაქოში. ამ ჩემპიონატის იდეა 1927 წელს გამოითქვა, მაგრამ საფუძველი 1958 წელს ჩაეყარა. 1968 წლამდე მას ევროპის ნა-

ციონალური თასის გათამაშება ერქვა. ამ ხნის განმავლობაში ევროპის 59 ნაკრებმა გუნდმა მიიღო მასში მონაწილეობა (მათ შორის: იუგოსლავია, სსრკ, დსთ, ჩეხოსლოვაკიის სახალხო რესპუბლიკა, ჩათვლით). შესარჩევ ტურნირებში 2 657 მატჩი ჩატარდა და 7 211 გოლი გავიდა. ყველაზე დიდი ანგარიში დაფიქსირდა ესპანეთი-მალტას მატჩში (12:1); ხოლო მაყურებლების რაოდენობის მხრივ საქართველო-გერმანიის მატჩში (110 ათასი მაყურებელი). ევროპის ფინალურ ტურნირებში მონაწილეობა მიიღო 38 ნაკრებმა, აქედან ნახევარფინალს 19 ნაკრებმა მიაღწია; 280 მატჩი ჩატარდა და 635 გოლი გავიდა. ევროპის ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორია გალიჩი (იუგოსლავია). ევროპის ჩემპიონატს 80 ქალაქმა უმასპინძლა, მათ შორის პარიზმა და რომმა 3-3 -ჯერ. ჩემპიონატის ფინალები და გამარჯვებულები:

- 10.07. 1960 წ. პარიზი, „პარკ დე პრენსი“, 17 966 მაყურებელი; **სსრკ-იუგოსლავია 2:1 (0-1, 1-1)** დ.დ.;
- 21.06. 1964 წ. მადრიდი, „სანტიაგო ბერნაბეუ“, 79 115 მაყურებელი; **ესპანეთი-სსრკ 2:1 (1-1)**;
- 08.06.1968 წ. რომი, ოლიმპიური სტადიონი, 32.886 მაყურებელი; **იტალია-იუგოსლავია 2:0**;
- 18.06. 1972 წ. ბრიუსელი, „ჰეიზელი“, 43 066 მაყურებელი; **გერმანია-სსრკ 3:0**;
- 20.06. 1976 წ. ბელგრადი, „ცვერნა ზვეზდა“, 30 790 მაყურებელი; **ჩეხოსლოვაკია-გერმანია 2-2 (2-1, 2-2)** დ.დ. პენ. 5:3;
- 22.06. 1980 წ. რომი, ოლიმპიური სტადიონი, 47 860 მაყურებელი; **გერმანია-ბელგია 2:1(1:0)**;
- 27.06. 1984 წ. პარიზი, „პარკ დე პრენსი“, 47 368 მაყურებელი; **საფრანგეთი-ესპანეთი 2:0 (0:0)**;
- 25.06. 1988 წ. მიუნხენი, „ოლიმპიური სტადიონი“ 62 770

- მაყურებელი; **ჰოლანდია-სსრკ 2:0 (0:0)**;
- 26.06. 1992 წ.გეტებორგი, „ულევი“, 37 800 მაყურებელი; **დანია-გერმანია 2:0 (1:0)**;
- 30.06. 1996 წ. ლონდონი, „უემბლი“, 73 611 მაყურებელი; **ჩეხეთი-გერმანია 1:2 (1:1)** დ.დ.
- 02.07. 2000 წ. როტერდამი, „დე კიუპი“, 50 000 მაყურებელი; **საფრანგეთი-იტალია 2:1 (1:1)** დ.დ.;
- 04.07.2004 წ. ლისაბონი, „ლა ლუში“, 62 865 მაყურებელი; **პორტუგალია-საბერძნეთი 0:1**;
- 29.06. 2008 წ. ვენა, „ერნსტ ჰაპელი“, 51 428 მაყურებელი; **ესპანეთი-გერმანია (1:0)**;
- 01.07. 2012 წ. კიევი, „ოლიმპიური სტადიონი“, 63 428 მაყურებელი; **ესპანეთი-იტალია 4:0**;
- 10. 07.2016 წ. პარიზი, „სტად დე ფრანსი“; **პორტუგალია-საფრანგეთი 1:0**, დ.დ.

სოსო გირკალიძე, გინესის რეკორდის კანდიდატი

ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა




ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა საქარაკო ტურნირი, რომელიც გურიის ჭადრაკის ფედერაციისა და ოზურგეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანების ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა. მასში წარმოდგენილი 15 ბავშვიდან, ნაწილს მიღებული ჰქონდა სატურნირო ნათლობა, ნაწილიც პირველად ცდიდა ძალებს

ოფიციალურ ღონისძიებაში. მისასალმებელია, რომ ბავშვები დიდი ინტერესით ჩაერთნენ შეჯიბრებაში და მოჭადრაკისათვის საჭირო ჩვევებიც კარგად გამოავლინეს. შეჯიბრებას, რომელიც წრიული სისტემით გაიმართა, საკმაოდ ბევრი გულშემატყვივარი ყავდა, რომლებიც სატურნირო ცხრილში მდგომარეობის დინამიკას დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს, მიუხედავად იმისა ხშირი იყო, ცალკეულ პარტიებში, სიჩქარით დაშვებული შეცდომები, უმეტესობამ საკმაოდ გააზრებული თამაში აჩვენა. პირველი რიგში ეს შეილება ითქვას **ანდრია ცერციაძეზე**, რომელმაც 12 შესაძლებლობიდან 11 ქულით, აბსოლუტური პირველი ადგილი აიღო. მეორე ადგილზე 10 ქულით, **ლიკა ლლონტი** გავიდა (გოგონებში პირველზე), რომელმაც დინჯი თამაშით უკან ჩამოიტოვა ძირითადი მეტოქეები. ტურნირში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა 7 წლის **ლაზარე ჩხარტიშვილის**

თამაში, რომელიც დღითი დღე იმაღლებს სათამაშო კლასს. მან 9,5 ქულით(!) მესამე ადგილი დაკავა, რაც მის მწვერთნელს (გ. გოგოლაური) არ გაკვირვებია. 8-8 დაგროვილი ქულებით, **მე-4-5 ადგილებზე ერეკლე ანდლუაძე და მარიამ გირკელიძე**(გოგონებში მეორე) გავიდა, ეს ორთავესთვის აშკარად წინ გადადგმული ნაბიჯია. განსაკუთრებით მარიამისთვის, რომელმაც როგორც ჩანს დასძლია შინაგანი დაძაბულობა და

ლალი თამაშით შედეგსაც მიაღწია.თავის ასაკისათვის კარგი შედეგი აჩვენა **ნიკა ცომაიამ, რომან დოლიძემ**, კარგი სათამაშო პრაქტიკა მიიღეს **ვაჩე გოგუაძემ, ოთარ გოგოტიშვილმა, გეგა აროშიძემ, ანდრია მეგრელიშვილამა და ნიკა გალუსტაშვილმა**. იმედის მომცემ, ნიჭიერ ბავშვებზე საუბრისას არ უნდა გამოვგრჩეს 7 წლის **ნინია გოგუაძე**, მართალია მან სიჩქარის გამო საკმაო ქულები დაკარგა, მაგრამ მისი გაბედული და მახვილ გონივრული თამაში მაინც იმსახურებს ქებას, **ლონისძიების** ფარგლებში, ძირითადი ტურნირის გარეთ, გაიმართა გამოცდილი და რეიტინგისანი **გიორგი ლლონტისა და ანდრია კიკაბიძის** მატჩი, რომელშიც ანდრიამ 2,5-1,5-ით მოიგო, უნდა კარგა, რომ გიორგი, რომელიც კარგა ხანია ტურნირებში არ მონაწილეობდა, სათამაშო კლასს ინარჩუნებს და იმედია მომავალში, მის ამაღლებასაც იზრუნებს.

ლონისძიება საზეიმო ვითარებაში დაიხურა. ლონისძიების ყველა მონაწილე დააჯილდოვა შესაბამისი დიპლომებით და საჩუქრებით. ჭადრაკის დიდმა გულშემატყვივარმა **ზაურ დოლიძემ**, მის მიერ, ყველაზე პატარა და წარმატებული მოჭადრაკისათვის დაწესებული პრიზი, ლაზარე ჩხარტიშვილს გადასცა. **ზურაბ ანდლუაძე**, გურიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე.




პიტიარება ამიერკავკასიასა და საქართველოში 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ (1917 წლის ოქტომბერი – 1918 წლის იანვარი)

ეროვნული სამხედრო ფორმირებები სამხრეთ კავკასიაში დარჩებოდნენ და მათზე პასუხისმგებლობას უკვე არა ფრონტის სარდლობა, არამედ საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და სხვა ხალხების ეროვნული საბჭოები იღებდნენ. მიუხედავად ამისა, კავკასიის ფრონტის სარდლობა მაინც დიდი პრობლემის წინაშე იდგა: რუსეთში მიმავალი კავკასიის ფრონტის ჯარებისათვის უნდა გამოეყო სარკინიგზო ემელონები და შეემუშავებინა მათი მოძრაობის გრაფიკი. ემელონები უნდა გამოყოფილიყო როგორც ოფიცრებისა და ჯარისკაცებისათვის, ისე საკავალერიო ცხენებისა და შეიარაღებისათვის. მაროდრობის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი იყო ყოველი ემელონის სურსათით მომარაგება. ყველა ეს საკითხი ასე თუ ისე მოგვარებადი იყო. იყო კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაწყვეტა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. კავკასიის ფრონტზე განლაგებულმა სამხედრო ნაწილებმა 1917 წლის 5 (18) დეკემბრის დროებითი ზავის დადების შემდეგ შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი ნაწილი გაყიდეს, მაგრამ კიდევ დარჩა შეიარაღებისა და საბრძოლო საჭურვლის სერიოზული მარაგი, ასევე საკავალერიო ცხენების დიდი რაოდენობა. სამხედრო ნაწილებს ყოველივე ამის რუსეთში გატანა უნდოდათ, რაც მარტო დამატებითი ემელონების გამოყოფის პრობლემას არ ქმნიდა. სომხეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებს არ სურდათ ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს თან ჰქონოდათ შეიარაღება და საბრძოლო საჭურველი, რადგან არავინ იცოდა, თუ რას მოიმოქმედებდა დემორალიზებული და პრაქტიკულად უკვე მორადიორთა ბრბოდ ქცეული რუსეთის ჯარი. რუსეთის ჯარის შეიარაღებასთან ერთად ჯარის გადაადგილების წინააღმდეგი იყვნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოში. ფრონტიდან რუსეთის ჯარიდაიძვრებოდა შეიარაღებით თუ შეიარაღების გარეშე, ამას კავკასიის ფრონტის სარდლობა ვედარ გადაწყვეტდა, რადგან არმიას უკვე ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოები განაგებდნენ და არა გენერლები და ოფიცრები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ პროცესს სრულიად უმართავი ხასიათი შეიძლება მიეღო.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა იყო ისიც, თუ რა მარშრუტით მოხდებოდა

კავკასიის ფრონტის ჯარების გაყვანა რუსეთში. ყველაზე მოხერხებული და უსაფრთხო იყო ჯარების გაყვანა ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – ელისავეტოპოლი – ბაქოს სარკინიგზო ხაზით. იყო მეორე სავარაუდო მარშრუტიც: ალექსანდროპოლი (გიმრი) – თბილისი – გორი – სამტრედია – ბათუმი (ან ფოთი). ეს გზა მოუხერხებელი იყო იმის გამო, რომ იმხანად სარკინიგზო ხაზი აფხაზეთზე არ გადიოდა, რის გამოც რუსეთში ჯარების გაყვანა შეუძლებელი იყო. ფოთში ან ბათუმში რუსები გემებში უნდა გადასხდარიყვნენ და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის ნავსადგურებამდე მიეღწიათ. ეს თავისთავად ძალზე რთული იყო, რადგან კავკასიის ფრონტის სარდლობას არ შეეძლო ოფიცერთა და ჯარისკაცთა უზარმაზარი მასისათვის ბათუმსა და ფოთში საჭირო რაოდენობით გემები დაეხვედრებინა. გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ ომის შავ ზღვაზე მგზავრობა უზიფათო არ იყო.

კავკასიის ფრონტიდან რუსეთის არმიის გაყვანის ისედაც რთული პროცესი მოულოდნელად კიდევ უფრო გართულდა. საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, კავკასიის ფრონტიდან დაძრული ჯარები საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გამოეყენებინა. შემუშავებული იქნა გეგმა, რომლის რეალიზება სომეხ ბოლშევიკ სტეფანე შაუმიანს (1878-1918) დაევალა. გეგმის განხორციელებაში სტეფანე შაუმიანს უნდა დახმარებოდნენ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ბოლშევიკები. გეგმა ასეთი იყო: ალექსანდროპოლიდან (გიმრიდან) რუსი ჯარისკაცებითა და ოფიცრებით დატვირთული ემელონები თბილისში უნდა შემოსულიყვნენ, საიდანაც მათი ნაწილი ელისავეტოპოლის (განჯის) გავლით ბაქოსაკენ გაემართებოდა. როგორც კი პირველი ემელონი ბაქოს მიაღწევდა, ბოლშევიკების გავლით ქვემო მოქცეული ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოების დახმარებით დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი, მასზე მდებარე ქალაქებით (ელისავეტოპოლი, ბაქო და სხვ.), რუსების ხელში აღმოჩნდებოდა. ამის შემდეგ გაცილებით ადვილი იქნებოდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მთელს აზერბაიჯანში. ემელონების მეორე ნაწილი თბილისში შემოსვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოსაკენ გაემართებოდა და როგორც კი პირველი ემელონი საზღვაო ნავსადგურებს, ბათუმსა და ფოთს, მიაღწევდნენ, აქაც დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი მასზე მდებარე ქალაქებთან (თბილისი, გორი, ხაშური, სამტრედია, ფოთი, ბათუმი და სხვ.) ერთად რუსების ხელში აღმოჩნდებოდა, რის შემდეგაც დაიწყებოდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.



ბოდა და როგორც კი პირველი ემელონი საზღვაო ნავსადგურებს, ბათუმსა და ფოთს, მიაღწევდნენ, აქაც დაიწყებოდა აჯანყება და მთელი სარკინიგზო ხაზი მასზე მდებარე ქალაქებთან (თბილისი, გორი, ხაშური, სამტრედია, ფოთი, ბათუმი და სხვ.) ერთად რუსების ხელში აღმოჩნდებოდა, რის შემდეგაც დაიწყებოდა საქართველოს მთელი ტერიტორიის ოკუპაცია და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება.

ამ მოვლენის შესახებ არსებული ქართული წყაროების მიხედვით დგინდება, რომ ალექსანდროპოლიდან დაძრული ემელონები რუსეთში თბილისი-ელისავეტოპოლი-ბაქოს გავლით არ აპირებდნენ დაბრუნებას. სტეფანე შაუმიანს გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა ემელონის თბილისზე გავლით ბათუმისა და ფოთისაკენ გაეტარებინა და პირველ რიგში, საქართველოს ოკუპაცია მოეხდინა. ყოველ შემთხვევაში 1917 წლის დეკემბრის ბოლოს საქართველოს ეროვნულ საბჭოში სტეფანე შაუმიანის საიდუმლო გეგმა ამ სახით შეიტყვეს. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოში სტეფანე შაუმიანის გეგმის ყველა დეტალი ზუსტად არ სცოდნოდათ. დრო არ ითმენდა და ქართველმა პოლიტიკოსებმაც იმ ინფორმაციის გავლენით დაიწყეს მოქმედება, რასაც ეროვნული საბჭო ფლობდა. ერთი რამ თავიდანვე ცხადი იყო: ფორმირების პროცესში მყოფი პირველი ქართული კორპუსი და სახალხო გვარდია თბილისში რუსე-

თის ემელონების შემოსვლას წინ ვერ აღუდგებოდა. თითქმის ყველა ემელონი ღია ვაგონებზე განლაგებული არტილერიიდან რუსები ქალაქს ცეცხლს გაუხსნიდნენ, რის შემდეგაც შეტევაზე ქვეითი ჯარი გადმოვიდოდა. საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემუშავდა მეტად მახვილგონივრული გეგმა: ალექსანდროპოლიდან ამაღლის, შაგალის, უზუნლარისა და სადახლოს გავლით დაძრული რუსეთის ჯარის ემელონები თბილისში არ უნდა შეეშვათ. ამისათვის საჭირო იყო აეგოთ რამდენიმე კილომეტრის სიგრძის ახალი სარკინიგზო ხაზი, რომლის ერთი ბოლო თბილისიდან საკმაო მანძილის მოშორებით ალექსანდროპოლი-თბილისის რკინიგზასთან იქნებოდა შეერთებული, ხოლო მეორე ბოლო – თბილისი-ბაქოს სარკინიგზო ხაზთან. ახალი სარკინიგზო ხაზით შესაძლებელი გახდებოდა ალექსანდროპოლიდან დაძრული რუსეთის ჯარის ემელონები თბილისში შემოსვლამდე გასულიყვნენ თბილისი-ბაქოს ხაზზე და გზა გაეგრძელებინათ ბაქოსაკენ. ალექსანდროპოლიდან დაძრული ემელონები რკინიგზებზე შეთანხმებით ისე ამოძრავდნენ, რომ იმ ადგილს, საიდანაც მარჯვნივ ახალ სარკინიგზო ხაზზე უნდა გადაეხვიათ, ღამით მოაღწიეს. რკინიგზის ახალი ხაზი სწრაფად აიგო, თუმცა ამ გეგმას თავისი ნაკლი ჰქონდა: ბოლოსდაბოლოს რუსები ხომ გაიგებდნენ, რომ თბილისში შესვლის ნაცვლად ელისავეტოპოლში აღმოჩნდებოდნენ და შეეძლოთ მათ უკან მომავალი ემელონები გაეფრთხილებინათ. გარდა

ამისა, თბილისში რუსების ემელონების შემოსვლის თავიდან აცილება საქართველოს დიდ საფრთხეს აცილებდა თავიდან, მაგრამ სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა აზერბაიჯანს.

დამატებით აგებული სარკინიგზო ხაზით ალექსანდროპოლიდან მომავალმა რუსეთის ჯარის ემელონებმა გაიარეს სადგურები ალსტაფა და ძეგამი და სადგურ შამქორთან შეჩერდნენ. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, რუსები შეაჩერეს ელისავეტოპოლის მუსლიმთა ნაციონალური კომიტეტის დაქვემდებარებაში მყოფმა და ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ელისავეტოპოლში წინასწარ გაგზავნილმა ჯავშნიანმა მატარებელმა. რუსების პირველი ემელონი შამქორს 3 ვერსზე 1918 წლის 6 (19) იანვარს მიუახლოვდა. როგორც ჩანს, ამ დროისათვის საქართველოსა და აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოებში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად გარკვეული კოორდინაცია არსებობდა. ამას ფაფვიკებიც ნიშნავს, რომ 1918 წლის 6 (19) იანვარს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ამიერკავკასიის სამხარეო ცენტრის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ დეპუტატი დაუგზავნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა ყველა ადგილობრივ საბჭოს. ცხადია, დეპუტატი მიიღეს ელისავეტოპოლშიც. აი, დეპუტატის ტექსტი: "ვინაიდან რუსეთში მიმავალ სამხედრო ნაწილებს თან მიაქვთ იარაღი და თუ დროებითი ზავი წარმატებით არ დამთავრდება, ეროვნული ნაწილები შეიძლება ისე დარჩნენ, რომ საკმაო იარაღი არ ექნებათ ფრონტის დასაცავად, მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების სამხარეო ცენტრმა დაადგინა წინადადება მისცეს ყველა საბჭოს, მიიღონ ზომები მიმავალი ნაწილებისათვის იარაღის ჩამოსართმევად და ყოველი შემთხვევის შესახებ აცნობონ სამხარეო ცენტრს." მოგვიანებით ნოე ჟორდანიამ ამტკიცებდა, რომ ამ დეპუტატზე მას ხელი არ მოუწერია, მაგრამ ფაქტია, რომ სამხარეო ცენტრის გადაწყვეტილება არსებობდა და დეპუტატ ნამდვილად დაეგზავნა ადგილობრივ საბჭოებს. არსებობს მეორე დოკუმენტიც. ესაა ჯავშნიანი მატარებლის მეთაურ, როტმისტრ აფხაზავას დეპუტატი ელისავეტოპოლში მდგარ მუსლიმთა ცხენოსანი პოლკის მეთაურ, პოლკოვნიკ ლევან მაღალაშვილს (1879-1926). დეპუტატი 1918 წლის 7 (20) იანვარს 15 საათზე გაგზავნილი. აფხაზავა წერდა: "მოდის ხუთი შეიარაღებული ემელონი ქვემეხებით,

შეიპყრეს საბჭოს წარმომადგენლები, მოვიდვარ ჯავშნიანი მატარებლით წინააღმდეგობის გასაწევად. გთხოვთ დახმარებას ყოველი გვარების აირაღით." 1918 წლის 9-12 (22-25) იანვარს აზერბაიჯანელთა და ქართველთა ჯარმა ძირითადად სადგურ შამქორთან, ასევე სადგურ ალსტაფასთან ცხარე ბრძოლების შედეგად ერთი ცნობით 2.000, ხოლო მეორე ცნობით 5.000 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი გააანადგურეს. ხელთ იგდეს 15.000 შაშხანა, 70 ტყვიამფრქვევი და 20 ქვემეხი. გადარჩენილმა რუსებმა სხვადასხვა გზით ბაქომდე ჩააღწიეს. 9-12 (22-25) იანვრის ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს წევრებმა ადილ ხან ზიატხანოვმა (1870-1957), ასლან ბეი საფიკურდსკიმ (1881-1937), მ. რუსტამბეკოვმა, ასევე პოლკოვნიკმა ლევან მაღალაშვილმა.

რუსული საბჭოთა ისტორიოგრაფია და თანამედროვე რუსული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ საქართველოს ოკუპაციის გეგმა ფრონტიდან დაძრულ რუსეთის ჯარებს არ ჰქონიათ. საწინააღმდეგოს ამტკიცებდა იოსებ სტალინი 1918 წლის 26 და 27 მარტს გაზეთ "პრავდაში" გამოქვეყნებულ წერილში "ამიერკავკასიის კონტრრევოლუციონერები სოციალიზმის წილბით". სტალინი წერდა: "ჩვენ ვლასაკობთ რევოლუციურ ჯარისკაცებზე, რომლებიც თურქეთის ფრონტიდან ბრუნდებოდნენ საზავო მოლაპარაკების დაწყების შემდეგ. ამ ჯარისკაცებს უნდა გამოეყოთ თბილისზე, ანტისაბჭოთა კოალიციის (გულისხმობს ამიერკავკასიის კომისარიატს - ვ. გ.) დედაქალაქზე. ბოლშევიკების ხელში ისინი შეიძლება სერიოზული საფრთხე გამხდარიყვნენ ამიერკავკასიის კომისარიატის არსებობისათვის. ეს საფრთხე სავსებით რეალური იყო. და აი აქ, ამ საფრთხის წინაშე, გაქრა ყველა და ყოველგვარი "სოციალისტური საუღარუნო". მულაგნდება კოალიციის კონტრრევოლუციური ხასიათი. კომისარიატი და "ნაციონალური საბჭოები" იარაღს ჰყრიან ფრონტიდან მომავალ ნაწილებს, მუხანათურად უტყვენ მათ სროლას..."

ასე დაასრულა არსებობა კავკასიის ფრონტმა. რუსეთის ჯარმა საქართველო დატოვა, მაგრამ არცთუ დიდი ხნით.

„ქართული ნაპოლეონის“ ტრიუმფი ოზურგეთის თეატრში

თამაზ მარანიშვილი



ვარდობისთვის ბოლო დღეს ნეაპოლში გახლდით — მილიონერთა ქალაქში. მეგობარ, შორს იყო და აგერ ყოფილა, ორი ფეხის ნაბიჯი — ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში. იმ დღეს აქ ისეთი პრემიერა შედგა, რომ „ქართველმა ნეაპოლეონებმა“ დაუსწრებლად შემაყვარეს ეს იტალიური ქალაქი და იტალიელი ნეაპოლეონები.

ვიზუალით, ხასიათით, ყოფა-ცხოვრებით, ხასიათით, მეტადრე ემოციით, სიმკვირცხლით, მსოფლმხედველობით, სულიერებით ქართველები და იტალიელები რომ ერთმანეთს ჰგვანან, ეს გასაგებია, მაგრამ ასეთი მსგავსება, რაც ამ წარმოდგენაში ვიხილეთ, იშვიათი

საოცრებაა! ახლა, ერთი მეზობელი ერით ვერ ავიჩემებ, რომ ედუარდო დე ფილიპო ქართველი იყო-მეთქი, მაგრამ დრამატურგის პერსონაჟებს რომ ბევრი რამ საერთო აქვთ ქართველებთან, ამას წყალი არ გაუვა. და ეს ყოველივე ამ წერილის ავტორზე ადრე და უკეთ შეამჩნია და დაამტკიცა კიდევ იმ შემოქმედებითმა ჯგუფმა, რომელმაც ეს სპექტაკლი განახოციელა ბატონი ოთარ კუტალაძის რეჟისორობით.

მოკლედ რომ ვთქვა, ოზურგეთის განახლებულ თეატრში მესუთე დიდებული პრემიერა შედგა, რომელშიც მსახიობებმა თეატრმცოდნეებისთვის მეტად საინტერესო და მაცურებლის-

ვის დიდხანს დასამახსოვრებელი მეტყველი პორტრეტები შექმნეს.

ბრავო! ასეთი, ერთობლივად წარმატებული წარმოდგენის შემთხვევაში ცალკეულად რომელიმე მსახიობის გამოყოფა თითქოს მიზანშეუწონელია, მაგრამ რომ არ ვთქვა და არ გამოვყო, ალბათ, არ ვიქნები მთლად მართალი: მე აქ მსახიობ შორენა გვეტაძის ბუნების დავინახე. შორენა სხვა როლებშიც მინახავს, მომწონებია კიდევ, მაგრამ ამ სპექტაკლში ის, ჩემი აზრით, შეუდარებელია.

თეატრის ისტორიიდან ჩანს, რომ თეატრის ისტორია გვამცნობს, რომ ედუარდო დე ფილიპოს „ნეაპოლი მილიონერთა ქალაქი“, იგივე ოთარ კუტალაძის რეჟისორობით, აქ 21 წლის წინათაც ოვაციებით მიუღია მაცურებელს. კარგი იქნებოდა გახსენება და ორიოდ სიტყვით ამ პრემიერების ერთმანეთთან შედარება, მაგრამ, სამწუხაროდ, 21 წლის წინანდელი არ მაქვს ნანახი.

დღეს ქართულ თეატრალურ სამყაროში თითქმის ყველას აკერია პირზე. სამხატვრო ხელმძღვანელის, ხელოვნების

დამსახურებული მოღვაწის ვასო ჩიგოგიძის სწორად შერჩეულმა სტრატეგიამ და პოლიტიკამ, სხვა თეატრებიდან რეჟისორებისა და მსახიობების მოწვევამ, თეატრალური ხელოვნებისადმი ახლებურად მიდგომამ თეატრი იმ მწვერვალს შეუყენა, რომლის საოცრად მაღალი პიკის კონტურები უკვე გამოიკვეთა. არ მიკვირს, რომ აქ დღეს რეჟისორების ცოცხალი რიგია, არც ის, რომ ყურმოკრული ინფორმაციით, ზოგიერთი ადგილობრივ ხელისუფლებაში სატელეფონო ზარით ცდილობს „საქმის ჩანყობას“ მინიმუმ ერთი სპექტაკლის დადგმისთვის. გურულების საფიცარ თეატრში თუ ამ ტემპით გაგრ-

ძელდა შემოქმედებითი პროცესი, სხენებულ პიკზე მოქცევას დიდი დრო არ უნდა დააგვიანდეს. მერე? მერე ის, რომ წინ კიდევ მრავალი მწვერვალი და პიკია.

და ბოლოს, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური და პანდემიური სიტუაციების ფონზე, ქუჩაში იშვიათად წაანყვებით ადამიანებს მომღიმარი სახეებით. ოზურგეთში, თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე თუ ვინმე ასეთი შენიშნეთ, მერწმუნეთ, ის უსათუოდ ოზურგეთის თეატრიდან გამოსული, სპექტაკლის ნახვით ნასიამოვნები მაცურებელი იქნება.



მილოცვა

გილოცავთ, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს და ნინოობას!..

ყველა პატარას ვუსურვებთ უსაფრთხო და მშვიდობიან სამყაროში ცხოვრებას! გფარავდეთ წმ.ნინოს ძალა და მადლი!..

ბაკა ჭყონია,
სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დირექტორი



კვირული „ჯანსაღი თაობა“ მე-4 საბავშვო ბაღში

№4 საბავშვო ბაღმა (მენეჯერი – მ. ლლონტი, მეთოდისტი – ნ. გრძელიძე) ჩაატარა ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით კვირული „ჯანსაღი თაობა“, რომელიც მიეძღვნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს – 26 მაისს.

სკოლამდელი ასაკის ბავშვებთან კოგნიტურ და შემოქმედებით უნარებთან ერთად მნიშვნელოვანია მსხვილი მოტორული უნარების განვითარება, სხეულის მრავალმხრივი გამოყენება თამაშისა და სწავლის პროექტში, რომელიც აუმჯობესებს კოორდინაციას, ეხმარება ბავშვს დაარეგულიროს და ისწავლოს კონტროლი, გაიძლიეროს სხეული, გახდეს თვითდაჯერებული, მოძრაობა მათ ეხმარება ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარის გაზრდაში.

კვირულში აქტიურად ჩაე-

ბა მეორე ცვლის აღმზრდელე-ბი (თ. ტოროტაძე, ნ. რუსიეშვილი, ი. სირაძე, მ. შილაკაძე), მათ ტოლი არ დაუდეს ძიებმა (ს. რკოლების გადაღავებით, გრძელსკამზე სრიალი, ბაგირის გადაზიდვა – ყველა ამ სახეობაში კარგი ფიზიკური და გონივრუ-

ლი მონაცემები გამოავლინეს საბავშვო ბაღის აღსაზრდელე-მა.

ლონისძიება ჩატარდა მუსიკის ფონზე (მუსიკის მსაწავლე-ბელი ნ. ქილიფთარი).

ჯგუფებს გადაეცათ სიგე-ლები.

ვაშნაძემ, ევ. გოგუაძემ, ნ. ქურცუამ, მ. ჯინჭარაძემ).

აღსაზრდელეები სხეულის მრავალმხრივი გამოყენებით ჩაერთვნენ თამაშის პროცესში. გამომყვლანეს ყურადღებისა და კონცენტრაციის უნარები.

ფიზიკური ვარჯიში, ესტაფეტები გარბენითა და დაბ-



ბავშვთა დღე მიულოცავს

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მრავალშვილიან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და სოციალურად დაუცველ ოჯახს ოზურგეთის მერის მოადგილემ ირაკლი სირაძემ, განათლებისა და გენდერულ საკითხთა განყოფილების თანამშრომლებთან ერთად ტუბილუელი, საკვები პროდუქტები და საოჯახო ტექნიკა გადასცა.

„პანდემიიდან გამომდინარე, ეს დღე მასშტაბური ღონისძიებებით ვერ აღვნიშნეთ, ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეხარებინა ის ბავშვები, რომლებსაც ჩვენი ყურადღება განსაკუთრებულად სჭირდებათ. მინდა ყველა პატარას მივულოცო დღევანდელი დღე. ვუსურვო ბედნიერი, ლაღი და ლამაზი ბავშვობა, მშვიდობიან და ძლიერ საქართველოში ცხოვრება,“ – აღნიშნა ირაკლი სირაძემ.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზა, ღრუბალო +9+19	მზა, ღრუბალო +10+22	მზა, ღრუბალო +10+23	მზა, ღრუბალო +10+21	მზა, ღრუბალო +12+19	მზა, ღრუბალო +12+20	ღრუბალო +12+19
7 ივნისი ორშაბათი	8 ივნისი სამშაბათი	9 ივნისი ოთხშაბათი	10 ივნისი ხუთშაბათი	11 ივნისი პარასკევი	12 ივნისი შაბათი	13 ივნისი კვირა